ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №259

ქალაქი ქუთაისი

29 მაისი 2023 წელი

ერთის მხრივ,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
წარმოდგენილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის **იოსებ ხახალეიშვილის** სახით,
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
საიდენტიფიკაციო ნომერი: №212721170
ვებ გვერდი: www.kutaisi.gov.ge
ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: №200122900
(შემდგომში შემსყიდველი)

და მეორეს მხრივ,
შ.პ.ს. „ბ. გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი“
წარმოდგენილი მისი დირექტორის **კახაბერ კუხიანიძის** სახით
მისამართი: ქ. ქუთაისი, ვაჟა-ფშაველას ქ. №1
საინდიფიკაციო კოდი: №212690471
საბანკო რეკვიზიტი: „ბაზის ბანკი“
ბანკის კოდი: **CBASGE22**
ანგარიშსწორების ანგარიში: № GE15 BS00 0000 0005 6369 51
(შემდგომში მიმწოდებელი)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10' მუხლისა მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. 2023 წლის 1; 2 და 3 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქ. ქუთაისში ბ. გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ბავშვების გასართობი ატრაქციონებით:
1) მონეტის აპრატი „სპილო“;
2) მონეტის აპრატი „მანქანა“;
3) მონეტის აპრატი „მოტოციკლი“
4) მონეტის აპრატი „ თვითმფრინავი“
5) ატრაქციონი „საბავშვო ქარიანა“;
6) ატრაქციონი „საბავშვო გემი“;
7) საბავშვო ბატუტი;
8) ატრაქციონი საბავშვო მატარებელი;
9) ატრაქციონი საბავშვო მეკობრეები;
10) ატრაქციონი მხიარული კარუსელი;
11) ატრაქციონი „ავტოდრომი“;
12) ატრაქციონი „თავისუფალი ვარდნა“;
13) ატრაქციონი „მიმოხილვის ბორბალი“;
14) ატრაქციონი „მფრინავი თეფში“;
მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

1.2 კლასიფიკატორის კოდი –92300000
1.3 გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების მოდული - SMP230001439

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს: *10000 (ათი ათასი)* ლარს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

4. მომსახურების მიწოდების პირობები და ვადები

4.1 „მიმწოდებლი" ვალდებულია:

ა) **2023 წლის 1, 2 და 3 ივნისს ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1. პუნქტში ჩამოთვლილ ნაწილ ატრაქციონებზე** *(1) მონეტის აპრატი „სპილო"; 2) მონეტის აპრატი „მანქანა"; 3) მონეტის აპრატი „მოტოციკლი" 4) მონეტის აპრატი „ თვითმფრინავი" 5) ატრაქციონი ,,საბავშვო ქარიანა"; 6) ატრაქციონი ,,საბავშვო გემი"; 7) საბავშვო ბატუტი; 8) ატრაქციონი საბავშვო მატარებელი; 9) ატრაქციონი საბავშვო მეკობრეები; 10) ატრაქციონი მხიარული კარუსელი;)* **გაწიოს უფასო მომსახურება შ.პ.ს. „ბ. გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში"** .

ბ) **ნაწილ ატრაქციონებზე** *(1) ატრაქციონი „ავტოდრომი"; 2) ატრაქციონი „თავისუფალი ვარდნა"; 3) ატრაქციონი „მიმოხილვის ბორბალი" 4) ატრაქციონი „მფრინავი თეფში";)* **გაწიოს მომსახურება შეღავათიანი ფასებით შ.პ.ს. „ბ. გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში"** .

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 ,,შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტს მიიღებს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2 „შემსყიდველი"–ს მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება, მიღება–ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.

5.3 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის მიღების დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლი"–ს წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების დასახელება და ღირებულება;

ბ) მიღება-ჩაბარების აქტი;

გ) გაწეული მომსახურების შესაბამისად ამოწერილი დღგ-ს ანგარიშფაქტურა

6.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, (გადარიცხვა) ლარებში.

6.3 ანგარიშსწორების ვადაა სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღე.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

7.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია

8.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

8.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა)

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები:

9.3 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში ,,მიმწოდებელი" გადაიხდის პირგასამტეხლოს სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ს ოდენობით ლარს.

9.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

9.5 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით.

9.6 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებლის" დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

9.7 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;

10.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით.

12.2 საქართველოს კანონის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ თანახმად ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება წერილობითი ფორმის მატერიალური დოკუმენტი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მხარეთა ხელმოწერები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

Kutaisi City Municipality

Digitally signed by Kutaisi City Municipality
DN: cn=Kutaisi City Municipality, 2.5.4.97=NTRGE-212721170, o=……, c=GE
Date: 2023.05.30 12:32:58 +04'00'

Kakhaber Kukhianidze

Digitally signed by Kakhaber Kukhianidze
DN: cn=Kakhaber Kukhianidze, serialNumber=PNOGE-60001033082, givenName=Kakhaber, sn=Kukhianidze, o=Citizen, c=GE
Date: 2023.05.30 12:31:30 +04'00'

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „ბ. გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი“

დირექტორი

_____

კახაბერ კუხიანიძე